სსიპ - ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ხელოვნების ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა/ History of Arts and Cultural Heritage
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი Bachelor of the History and Theory of Art
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**240 ECTS კრედიტი** **50 ECTS** კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. **120 ECTS** კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის), აქედან 75 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს, ხოლო 35 ECTS კრედიტი – სპეციალობის არჩევით დისციპლინებს; საბაკალავრო ნაშრომს განკუთვნილი აქვს 10 ECTS კრედიტი. **60 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზე. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე). დამატებითი პროგრამის არარჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღმავებლად. **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი

	პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის, უცხო ენა). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის კოორდინატორი	პროფ. ზაზა სხირტლაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტი აგრძელებს საქართველოში პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო მიმართულების ფუძემდებელი კათედრის ტრადიციებს. მისი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების აღზრდა. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ განათლება ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში, დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, მოემზადონ სწავლის გაგრძელებისათვის შემდგომ აკადემიურ საფეხურზე ან დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობისათვის. პროგრამა სტუდენტებს აძლევს სპეციალიზებულ ცოდნას მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიაში წინარექრისტიანული ხანიდან დღემდე; ჩამოუყალიბებს და განუვითარებს მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევებს პროფესიული პოზიციებით განპირობებული სამუშაოს შესრულებისათვის. ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისმიზანია დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა შესაბამისი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაცექნებასათანადო დარგობრივიუნარები და კომპეტენციებიხელოვნებათმცოდნეობის განხრით. **პროგრამის მიზანია** 1. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უნარების მქონე სპეციალისტის მომზადება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში; 2. მისცეს სტუდენტს მსოფლიო და ქართული ხელოვნების

	ისტორიის შესახებ სათანადო ფართოცოდნა შესაბამისი სალექციო კურსებისა და პრაქტიკული მეცადინეობების საფუძველზე; 3. გამოუმუშავოს სპეციფიკური უნარ-ჩვევები სპეციალიზებული ტერმინოლოგიის გამოყენებითა და სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიის დაუფლებით. 4. გამოუმუშავოს პროფესიულსაქმიანობაშიეთიკური ნორმების დაცვის უნარებისამართლიანობის,ტოლერანტობის,პლურალიზმისა დაობიექტურობისპრინციპებისსაფუძველზე.
სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლისშედეგებიშეესაბამებაგანათლებისსაბაკალავროდონესდა მისანიჭებელკვალიფიკაციას. სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები. ხელოვნებათმცოდნეობისსაბაკალავროპროგრამისმიზნებისმისაღწევადგამოყენებულისასწავლოდაკვლევითიკომპონენტებიუზრუნველყოფენშემდეგიშედეგებისმიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის კურსდამთავრებული 1. ისტორიულ-კულტურული რეალიების გათვალისწინებით აღწერს მსოფლიო და ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს, ცალკეული დარგების მახასიათებლებს, სხვადასხვა ეპოქის და მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს და ნიშნებს; 2. აფასებს არქიტექტურული ძეგლისა და ხელოვნების ნიმუშის ტიპოლოგიურ, სტრუქტურულ, იკონოგრაფიულ და მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს და მათ მხატვრულ ღირებულებას; 3. აცნობიერებს ძველი სამყაროსა და ანტიკურ ხანის, შუა საუკუნეების, აღორძინების, აგრეთვე ახალი და თაანმედროვე ეპოქის ხელოვნებაშიმიმდინარე პროცესებს და თითოეული ეპოქისათვის სახასიათო ნიშნებს; ეთნოკულტურული, კონფესიური, აგრეთვე მსოფლმხედველობითი თავისებურებების გავლენას ხელოვნების ნიმუშზე. 4. აანალიზებს ქართული მხატვრული ტრადიციის თანაგვარობას და განსხვავებებს მსოფლო ხელოვნებასთნ მიმართებაში; იაზრებს მის ადგილს და როლს ძველი სამყაროს, შუა საუკუნეების და თანამედროვე კულტურულ პროცესებში.
ბ) უნარები	5. ავლენს შესაბამისი მასალის მოძიებისა და სისტემატიზების, შედარებითი დახასიათების, აგრეთვე არგუმენტირებული

	დასკვნების გამოტანის შესაძლებლობებს. 6. აანალიზებსარქიტექტურის და ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ფორმის სახასიათო ნიშნებს, მის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს. 7. განაზოგადებს მსოფლიო და ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე მოვლენებს, არგუმენტირებულად აფასებსდა ლოგიკურად აანალიზებს მათ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში; 8. იყენებს დარგობრივ სპეციფიკურ ტერმინოლოგიას და სახელოვნებათმცოდნეო მეთოდებს პროფესიული საქმიანობაში;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	9. ზრუნავსსაკუთარაკადემიურდაპროფესიულგანვითარებაზე; 10. ავლენს ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემას; იცავს აკადემიურ ეთიკას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლება-სწავლის მეთოდები განისაზღვრება ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც გამორჩეულად უხვი ფაქტობრივი მასალის მომცველი, ამასთან მულტიდისციპლინური დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლების ამ ფორმატში გამოიყენება ვერბალური, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა-განმარტებითი, ჯგუფური დისკუსიის და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირებისა და სხვა მეთოდები. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დემონსტრირების მეთოდს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ხშირ შემთხვევაში სწავლება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდთა თანადროულად გამოყენების გზით. პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომები შერჩეულია ინდივიდუალურად, უმთავრესი მიზნით - ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას

	განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული სწავლებას ამ მიზნით სასწავლო პროგრამის კურიკულუმში ჩართულია ის საგნები, რომლებიცითვალისწინებს სწავლეება-სწავლას როგორც საკუთრივ არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლებზე, ისე მუზეუმებში, აგრეთვე ხელოვანთა სახელოსნოებში.
შეფასების სისტემა	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს

	დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა),ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. სასწავლო კომპონენტი (საბაკალავრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და საბაკალავრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე სტუდენტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და სტუდენტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და საბაკალავრო დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ: • საგანმანათლებლო, სასწავლო დასამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (საბაკალავრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); • კულტურის სფეროს დაწესებულებებში;

	• კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს დაწესებულებებში • ტურიზმის სფეროში; • მუზეუმებსა და გალერეებში; • მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.); • ბიბლიოთეკებსა და არქივებში და მუზეუმებში; • საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე;
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხოელი სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	თსუჰუმანიტარულმეცნიერებათაფაკულტეტისხელოვნებათმცოდნეობისსაბაკალავროპროგრამისგანხორციელებაშიმონაწილეობასიღებენდარგისმაღალკვალიფიციურისპეციალისტები, აგრეთვეშესაბამისიკვალიფიკაციისმქონემოწვეულილექტორები, მასწავლებლებიდამკვლევრები, რომელთაცაქვთსაგანმანათლებლოპროგრამებისსწავლისშედეგებისგამომუშავებისთვისაუცილებელიკომპეტენცია,პროგრამისადაკონკრეტულისასწავლოკურსისპროფილისშესაბამისიაკადემიური ხარისხი, სწავლებისადაკვლევისგამოცდილება. პრაქტიკოსიმასწავლებლებიუძღვებიანპრაქტიკულმეცადინეობებსსპეციალობაში, უცხო ენების პრაქტიკუმში. სასპეციალიზაციო კურსებს უძღვებათსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათნცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ძირითადი აკადემიური პერსონალი, აგრეთვე მოწვეული ლექტორები თსუ პროფესორი ზაზა სხირტლაძე თსუ ასოცირებული პროფესორი ნათელა ჯაბუა თსუ ასოცირებული პროფესორი ირინე კოშორიძე თსუ ასოცირებული პროფესორი ირინე მირიჯანაშვილი თსუ ასოცირებული პროფესორი ნინო სილაგაძე თსუ ასისტენტ პროფესორი თეო ჯალაღანია თსუ მოწვეული ლექტორი, ხელოვნ. დოქტ. მარიანა ოკლეი თსუ მოწვეული ლექტორი, ხელ. დოქტ. იზოლდა მელიქიშვილი თსუ მოწვეული ლექტორი, ხელოვნ. დოქტ. ოლღა ჟღენტი თსუ მოწვეული ლექტორი, ფერწ. რესტ. ირინე დუდაური პროგრამის განმახორციელებელი ხელოვნების ისტორიისა

	თეორიის ს/ს ინსტიტუტი მდებარეობს თსუ VIII კორპუსში (ილია ჭავჭავაძის გამზ. N13), ოთახი N215. ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახი, კომპიუტერულიტექნიკა,დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტიდასხვ.) სავსებით შეესაბამებასაბაკალავრო პროგრამისმიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთე-კებით და კომპიუტერული რესურს-ცენტრებით, რომლებიც უზრუნველყოფენთავისუ-ფალწვდომასციფრულრესურსებსადასამეცნიეროლიტერატურის საერთაშორისო ელექტრონულბაზებზე. • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი: https://e-learning.tsu.ge/ • შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე: • https://www.tsu.ge/ka/library/page/893
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	